

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს  
სხდომა**

**25 სექტემბერი 2009 წელი**

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:**  
ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. №75

**სხდომის დაწყების დრო: 19:00სთ.**

**სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:**  
გოჩა სვანიძე (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), დავით  
ასათიანი, როინ მიგრიაული, დავით ლანჩავა, ზვიად კორძაძე, ზაზა  
ხატიაშვილი.

**სხდომის თავმჯდომარე:** გოჩა სვანიძე

**დღის წესრიგი:**

1. ადვოკატთა ტესტირების ორგანიზაციული საკითხების შესახებ;
2. ადვოკატთა ტესტირების საკვალიფიკაციო კომისიის წევრთა  
განსაზღვრის შესახებ;

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით

**სხდომამ მოისმინა:**

ადვოკატთა ტესტირების ჩატარების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ როდიდან დაიწყება საბუთების მიღება, რამდენი დღე გაგრძელდება ადვოკატთა ტესტირება, ასევე განისაზღვრა ტესტირების ჩატარების ოპტიმალური თარიღიც.

**აღმასრულებელმა საბჭომ გადაწყვიტა:**

ადვოკატთა ტესტირებაში მონაწილეობის მსურველთა საბუთები მიიღება 28 სექტემბრიდან 16 ოქტომბრის ჩათვლით. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ საბუთები არ მიიღება. აღნიშნული ვადა შეიძლება შეიცვალოს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით. რეგისტრაციის შემდეგ სპეციალიზაციის შეცვლა დაუშვებელია.

ადვოკატთა ტესტირება ჩატარდება 2009 წლის 11, 12, 13 დეკემბერს სპეციალიზაციების მიხედვით: 11 დეკემბერი - სისხლის სამართლის სპეციალიზაცია; 12 დეკემბერი – სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია; 13 დეკემბერი – საერთო სპეციალიზაცია.

*გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად*

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით

**სხდომამ მოისმინა:**

საკვალიფიკაციო კომისიის კანდიდატთა შესახებ ინფორმაცია, დასახელდა სავარაუდო კანდიდატთა ვინაობაც: კომისიის თავმჯდომარე **როინ მიგრიაული**, ნინო ბოჭორიშვილი (საერთაშორისო სამართალი); აჩიკო ლორია (კონსტიტუციური სამსართალი) ირაკლი დვალიძე (სისხლის სამართალი, მატერიალური); გიორგი თუმანიშვილი (სისხლის სამართალი, პროცესი) შალვა ქურდაძე (სამოქალაქო სამართალი, პროცესი); ირაკლი ყანდაშვილი (სამოქალაქო სამართალი, მატერიალური); მაკა სალხინაშვილი (ადმინისტრაციული სამართალი, ადმინისტრაციული სამართლის პროცესი);

აღმასრულებელმა საბჭომ გადაწყვიტა:

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი **როინ მიგრიაული** არჩეულ იქნა საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარედ. მას დაევალა საკვალიფიკაციო კომისიის წევრობის კანდიდატების შერჩევა.

*გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად*

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ და ხელს აწერენ:

გოჩა სვანიძე

დავით ლანჩავა

დავით ასათიანი

ზვიად კორძაძე

როინ მიგრიაული

ზაზა ხატიაშვილი